შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№39 (9.555)

19 ოქტომბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

სახალხო ზეიმი ფიროსმანის გარემოში კვლავ გაიმართება

სოფელ მირზაანში „ფიროსმანობის“ ტრადიციული სახალხო ზეიმი 27 ოქტომბერს გაიმართება. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა აცნობა. გობეჯიშვილი ყველა მსურველს გამოწვევას სთავაზობს და ღონისძიებაზე დასწრებისა თუ აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდებს.

ამავე დღეს გაიმართება, ახლადგამოცემული ფიროსმანის გზამკვლევის პრეზენტაცია. როგორც ორგანიზატორები ირწმუნებიან, წლევანდელი პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება.

„ფიროსმანობა“ ტრადიციულად ოქტომბრის მესამე შაბათ დღეს იმართება, თუმცა ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გამო, ამჯერად, ღონისძიებამ ერთი კვირით გადაიწია.

წელს ნიკო ფიროსმანის 150 წლის იუბილესთან ერთად გენიალური მხატვრის მუზეუმის გახსნის 50 წლის იუბილეც აღინიშნება. დღესასწაულს მირზაანელი მხატვრის ეზო სიახლეებით ხვდება, მოხერხდა ფიროსმანის მემორიალური სახლის ძირეული რეაბილიტაცია. სიძველის გამო სახლი, რომელიც ნიკალამ ააშენა, დანგრევის პირას იყო. ამასთან, ტურისტებისთვის სრულდება სველი წერტილების მოწყობაც.

ღონისძიება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იტალიელი თვითნასწავლი მხატვრის ანტონიო ლიკაპოეს ნამუშევრების გამოფენას მირზაანში ერთი დარბაზი დაეთმობა. მასაც ფიროსმანივით რთული გზა აქვს გავლილი და ბევრი პარალელის გავლება შეიძლება.

ფიროსმანობის სახალხო ზეიმისთვის ღონისძიებების დასაგეგმად “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო” დედოფლისწყაროში რამდენჯერმე იმყოფებოდა. მირზაანში ჩავიდა გაზეთი „შირაქიც“ და ღონისძიების დეტალებზე სააგენტოს წარმომადგენლებს ესაუბრა.

„შარშან პირველად იყო გამოფენილი ფიროსმანის პირადი საქმეები, რაც თავისთავად ძალზე საინტერესო იყო საზოგადოებისთვის. წელსაც ვგეგმავთ ისეთი გამოფენები მოეწყოს, რაც მანამდე არ ყოფილა მირზაანში და სიახლე იქნება დამთვალიერებლისთვის. გადავწყვიტეთ, ერთი დარბაზი დაეთმოს ფიროსმანის აფიშებს. წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გამართული გამოფენების აფიშები, მათ შორის ათეულობით წლის წინანდელიც.

(გაგრძელება გვ. 3)

„წვრილმან დარღვევებს არჩევნების საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია"...

საქართველოში დამთავრდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის არჩევნები. საკმაოდ დაძაბულად ჩაიარა წინასაარჩევნო კამპანიამ და კენჭისყრის დღემ დედოფლისწყაროშიც, თუმცა, მშვიდობიანად. არჩევნების შემდეგ იყო ხმაური და შედეგების გაპროტესტებაც, დავამ საოლქო — საარჩევნო კომისიიდან ჯერ რაიონულ, ხოლო შემდეგ სააპელაციო სასამართლოში გადაინაცვლა. გაზეთი „შირაქი“ ამ პროცესებს ეტაპობრივად აშუქებდა. არჩევნების საბოლოო შედეგების გაცნობისა და არჩევნების შეფასების მიზნით ჩვენ კომენტარი №14 დედოფლისწყაროს საოლქო—საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დავით ბუჩუკურს და „ სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელს დედოფლისწყაროში ვენერა ქუსიკაშვილს ვთხოვეთ.

დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით ბუჩუკური:

- არჩევნები იყო საკმაოდ გამჭვირვალე, თუმცა დაძაბული. ეს ბუნებრივიცაა, როცა ორი სერიოზული საარჩევნო სუბიექტია წარმოდგენილი. მნიშვნელოვანი დარღვევები კენჭისყრის დღეს არ დაფიქსირებულა, იყო წვრილმანი დარღვევები, რომელთაც საერთო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

- ბატონო დავით, ჰქონდა თუ არა რაიმე სახის ზეწოლას ადგილი თქვენს მიმართ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხრიდან?

- არანაირი ზეწოლა არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით კომისიის იმ სხდომას, რომელიც აქციის ფონზე მიმდინარეობდა. თუმცა, არც ეს შეიძლება ჩაითვალოს ზეწოლად, მაგრამ ხმაური კომისიის მუშაობას ხელს ნამდვილად უშლიდა. საარჩევნო კომისიამ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კანონის შესაბამისი გახლდათ. ჩვენი გადაწყვეტილების მართებულობა ორივე ინსტანციის სასამართლომ დაამტკიცა - რაიონულმა და სააპელაციო სასამართლომაც ძალაში დატოვა საოლქო კომისიის გადაწყვეტილება.

ვენერა ქუსიკაშვილი, - **არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი დედოფლისწყაროში:**

- არჩევნებმა დედოფლისწყაროში ხმაურის გარეშე ჩაიარა. მე თვითონ გახლდით მობილურ ჯგუფში და თითქმის ყველა საარჩევნო უბანში ვიმყოფებოდი. ჩემი უბნებზე ყოფნის დროს უხეში დარღვევა არ დაფიქსირებულა, იყო წვრილ—წვრილი დარღვევები, რომელზეც ვრეაგირებდით შენიშვნის სახით და გამოსწორებადი იყო. ჩვენი ორგანიზაციის სახელით დაიწერა ერთი საჩივარი საბათლოს საარჩევნო უბანზე. ჩვენი ორგანიზაციის შეფასებით, დედოფლისწყაროში არჩევნებმა ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა და უხეში დარღვევა არ დაფიქსირებულა.

ინგა შიოლაშვილი

საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კი ასეთი გახლავთ:

მაჟორიტარული:

1 თამილა გურაშვილი - 52 ხმა
5 ზაზა კედელაშვილი - 6896 ხმა
10 ლია ჩოქური - 190 ხმა
38 გიორგი ყოჩიაშვილი - 127 ხმა
40 ბიჭიკო მაჩაბლიშვილი - 16 ხმა
41 ალექსანდრე თამაზაშვილი - 6603 ხმა

პროპორციული:

1 „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“ - 28 ხმა
4 „ეროვნულ - დემოკრატიული პარტია“ - 13ხმა
5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ - 6565ხმა
9 „სამართლიანი საქართველოსთვის“ - 15ხმა
10 „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან - დემოკრატიული გაერთიანება“ - 237ხმა
17 „სახალხო მოძრაობა“ - 1ხმა
19 „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ - 3ხმა
23 „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“ - 7ხმა
24 „ახალი მემარჯვენები“ - 35ხმა
26 „სახალხო პარტია“ - 1ხმა
30 „მერაბ კოსტავას საზოგადოება“ - 3ხმა
35 „მომავალი საქართველო“ - 4ხმა
36 „საქართველოს მშრომელთა საბჭო“ - 4ხმა
38 „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - 145ხმა
40 „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“ - 8ხმა
41 „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ - 6840ხმა

ფიროსმანის ახდენილი ოცნება

გვ. 3

პურის ბაზარზე სერიოზული კრიზისია

გვ. 5

სამთაწყაროელი ეკომიგრანტები მიწების დაბრუნებას ითხოვენ

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ბიძინა ივანიშვილი წარადგინა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი წარადგინა, - ამის შესახებ17 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს აქვს 10-დღიანი ვადა მთავრობის სრული შემადგენლობის წარსადგენად ახლად არჩეულ პარლამენტში ნდობის მოსაპოვებლად.

„ჩვენ ვცდილობთ, საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ზედმიწევნით დავიცვათ საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობით გაწერილი ის პროცედურები, რომლებიც არჩევნების შემდეგ პარლამენტის ფუნქციონირების დაწყებისა და საქართველოს მთავრობის ფორმირებას ემსახურება. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე შერჩეულ იქნა პირველ ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის „ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი. საქართველოს კონსტიტუციის ამავე მუხლის შესაბამისად შერჩეულ კანდიდატს აქვს 10-დღიანი ვადა, რათა მოხდეს მთავრობის სრული შემადგენლობის წარმოდგენა, მისი შემდგომი ნდობის მიღებისთვის ახლად არჩეულ პარლამენტში წარსადგენად", - განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

ეურადღება!

სამშაბათს, 23 ოქტომბერს, 13 საათზე ჩატარდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი – კახეთის გუბერნატორად

საქართველოს პრეზიდენტმა კახეთის გუბერნატორად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი დანიშნა. გუბერნატორის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც გიორგი ღვინიაშვილმა საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი 1972 წლის 6 ივნისს დაიბადა. 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოსოფიის სპეციალობით, ხოლო 1997 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1993-1997 წლებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე გაზეთ „რეზონანსში". 1998 — 2002 წლებში იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მართვის ევროპულ სკოლაში (ESM). 2002 და 2003 წლების გაზაფხულის სასწავლო სემესტრების განმავლობაში იყო მიწვეული მკვლევარი ახალი სკოლის უნივერსიტეტში (ნიუ იორკი, აშშ). 1999-2002 წლებში მუშაობდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. 2002-2003 წლებში იყო საერთაშორისო საზოგადოება „სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი. „სამართლიანი არჩევნები აქტიურად მონაწილეობდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვებისა და შეფასების პროცესში. ორგანიზაციამ არჩევნები უარყოფითად შეაფასა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ჭიაბერაშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. 2004-2005 წლებში იყო თბილისის მერი. 2005-2010 წლებში იყო საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში. 2011-12 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინში. 2012 წლიდან იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

პრეზიდენტმა ახალი გუბერნატორები დანიშნა სხვა რეგიონებშიც. იმერეთში ვახტანგ ბალავაძე, სამეგრელო — ზემო სვანეთში ზაზა გოროზია, რაჭა-ლეჩხუმ—ქვემო სვანეთში გიორგი ჭელიძე.

„საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი იყენებს თავის უფლებამოსილებას", - განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

სოფელ საბათლოში ცოფზე შეზღუდვები მოიხსნა

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს 2012 წლის 15 ოქტომბრის №218 მომართვის საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის №507 ბრძანებით, მოიხსნა შეზღუდვები, ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში — დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში (არმენ ნალტაკიანის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ცოფის დადგენასთან დაკავშირებით).

ორთვიანი კარანტინი სოფელ საბათლოში 17 აგვისტოს გამოცხადდა.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 17 აგვისტოს № 384 ბრძანებით დაწესებული შეზღუდვები 16 ოქტომბრიდან მოიხსნა და ძალადაკარგულად გამოცხადდა, ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში, ზოოანთროპონოზური ინფექციური დაავადების ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შესახებ", დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 17 აგვისტოს №384 ბრძანება.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ, დედოფლისწყაროს ოთხ სოფელში, ცოფისა და ჯილეხის გამო საკარანტინო მდგომარეობა ერთდროულად მოქმედებდა, რომელიც 15 ივნისიდან მოიხსნა.

ავტოსაგზაო შემთხვევები დედოფლისწყაროში

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროში, სოფელ გამარჯვებისა და არბოშიკის საზღვართან, ე.წ. „გედიქის" გადასახვევთან. უბედურ შემთხვევას გაზეთი „შირაქი" ექსკლუზიურად შეესწრო.

მერსედესის მარკის ავტომობილი საპირისპიროდ მოძრავ კამაზის ტიპის სატვირთო ავტომანქანას 16 ოქტომბერს, დაახლოებით 16:40 წუთზე შეეჯახა.

კამაზის მძღოლს დაზიანებები არ მიუღია, ოთხივე დაშავებული მერსედესით მგზავრობდა, ისინი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მცხოვრებნი არიან. თვითმხილველთა განმარტებით, ისინი დედოფლისწყაროდან ლაგოდეხის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ.

დაშავებულები დედოფლისწყაროს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანა. წინასწარი ინფორმაციით, მათ სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდათ, თუმცა სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები. მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

რომელიმე მძღოლის ბრალეულობა დადგენილი არ არის, თუმცა გაჩნდა ვერსია, რომ შეჯახება კამაზის მძღოლის მიზეზით მოხდა.

„საავადმყოფოში 4 პაციენტი შემოიყვანეს. ისინი ლაგოდეხის რაიონის მაცხოვრებლები იყვნენ. ყველაზე მძიმე დაზიანებები 60 წლის ქალს აღენიშნებოდა. მას მარჯვენა ბარძაყის ძვალი ჰქონდა მოტეხილი და უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაშავებულს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, რის შემდეგაც კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ თბილისში გადაიყვანა. დანარჩენ ოთხს კი სხეულზე დაჟეჟილობები აღენიშნებოდათ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ბინაზე გავწერეთ", — განაცხადა დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრის თანამშრომელმა ეთერ ალადაშვილმა.

ამას გარდა, ამ ავტოსაგზაო შემთხვევამდე ერთი საათით ადრე ქალაქ დედოფლისწყაროში კიდევ ერთი ავარია დაფიქსირდა. რუსთაველის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ხიდთან ბეემვეს მარკის ავტომობილი ხევში გადავარდა და ხეს შეასკდა. ის გადაჭარბებული სისწრაფით მოძრაობდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბეემვეს მძღოლი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ილია მარტყოფლიშვილი

სოფელ არბოშიკში არასრულწლოვანი დაშავდა



ინციდენტი მოხდა სოფელ არბოშიკში. არბოშიკის საჯარო სკოლის ეზოში ,,ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წევრს, 14 წლის ჟულვერ კოჭლამაზაშვილს თავს დაესხნენ და თავის არეში მძიმე საგანი ჩაარტყეს. დაშავებული არასრულწლოვანის ოჯახის წევრებიც „ქართული ოცნების" წევრები არიან. დაზარალებული მოზარდი დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსეს. მას თავის არეში ნაკვეთი ჭრილობა აღენიშნება. მისი განმარტებით, სავარაუდოდ, თავდამსხმელები მისი სკოლის და მისი სოფლის მაცხოვრებლები არ იყვნენ.

„ვა, „ქართული ოცნებაო" თქვეს და უკან მხრიდან შიფერი ჩამარტყეს. მოხედვაც ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად მოხდა... შემდეგ, შიფერზე ჩემი სისხლი შევნიშნე," — ამბობს დაზარალებული არასრულწლოვანი.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს დედოფლისწყაროს საავადმყოფოშიც.

„გაიწმინდა და დამუშავდა ჭრილობა. როგორც ირკვევა, არასრულწლოვანს შიფრის ნატეხი აქვს თავში ჩარტყმული. პაციენტს ორი ნაკერი აქვს, ახლა ნევროპათოლოგი მოინახულებს და რამდენიმე ხნით მედიკოსების დაკვირვების ქვეშ დარჩება," — აღნიშნა დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგმა, რევაზ კოპალიანმა.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძღულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. უკვე დაკითხულია რამდენიმე პირი.

ჟულვერ კოჭლამაზაშვილის მამამ, რომელიც ,,ქართული ოცნების" წევრია, განაცხადა, რომ მის შვილზე თავდასხმა პოლიტიკური ნიშნით მოხდა, რადგან მის ოჯახს ფიზიკური ანგარიშსწორებით ხშირად ემუქრებოდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

სახალხო ზეიმი ფიროსმანის გარემოში კვლავ გაიმართება

(დასაწყისი პირველი გვერდზე)

მათ შორის: რუსეთის, უკრაინის, იაპონიის, იტალიის და საფრანგეთის. დამთვალიერებელს ერთ სივრცეში ექმნება წარმოდგენა, რა მასშტაბებს გასწვდა ფიროსმანის შემოქმედება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მის სიცოცხლეში ერთადერთი პერსონალური გამოფენა ფიროსმანის გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე მოეწყო. ილია ზდანევიჩმა გამოფენა მის სახელოსნოში გააკეთა. სიკვდილის შემდეგ კი ფიროსმანის ნამუშევრებმა მსოფლიოს ძალზე ბევრი ქვეყანა მოიარა. ამ ერთ დარბაზში მეოცე საუკუნეში სხვადასხვა დროს გამართული გამოფენების აფიშები გამოიფინება.

მირზაანის მუზეუმის მთავარ დარბაზში, სადაც ორიგინალებია დაცული, ის ასევე დარჩება. მათ შეემატება კიდევ ორი ორიგინალი, რომლებიც სარესტავრაციოდ არის გაგზავნილი. ეს გახლავთ „მწოლიარე ქალი“ და „თამარ მეფე“, რომლებიც ძალზე რთულ მდგომარეობაში იყო და სასწრაფო დახმარებას საჭიროებდა, ფიროსმანობის დღესასწაულისთვის მასზე მუშაობა დასრულდება და განახლებული ორიგინალებიც დაბრუნდება.

ამას გარდა, როგორც ზემოთაც ვთქვით, მომდევნო დარბაზში მოეწყობა იტალიელი თვითნასწავლი მხატვრის ანტონიო ლიკაპოეს ნამუშევრების გამოფენა, მასაც ფიროსმანივით ცხოვრების რთული გზა აქვს გავლილი და ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. დამთვალიერებელს საშუალება ექნება ისეთივე ტიპის შემოქმედის ნამუშევრებს გაეცნოს, როგორიც ფიროსმანი იყო. მაყურებელს შეეძლება დაინახოს, რა არის მსგავსება და განსხვავებები მათ შემოქმედებაში. გამოფენილი იქნება მისი ნამუშევრების ასლები. კიდევ ერთი დარბაზი ფიროსმანის თემაზე შექმნილ ნამუშევრებს დაეთმობა,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის მენეჯერმა ირმა დოლიძემ.

„მსოფლიო ბანკის პროექტებში წარდგენილი იყო ფიროსმანის მუზეუმის განვითარების პროექტი, თუმცა, ამ ეტაპზე, მისი დაფინანსება ვერ მოხერხდა. ფიროსმანის მემორიალური სახლის რეაბილიტაცია გარდაუვალი იყო. კედლები დაზიანებული იყო და სასწრაფო რეაბილიტაციას ითხოვდა. ამისათვის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ“ გამონახა რესურსი და მემორიალური სახლის ძირეული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელიც ფიროსმანობისთვის დასრულდება. გადაიხურა ჭერი, გამაგრდა კედლები და რაც ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო, ტურისტებისთვის მიმდინარეობს სველი წერტილების მოწყობა. ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ძალიან მოხარულები ვართ, რომ ამ სამუშაოების განხორციელება მოხერხდა. რეაბილიტაციის პროცესის დაუყოვნებლივ დაწყება აუცილებელი იყო, რადგანაც დარწმუნებული ვარ, გამაგრებული რომ არ ყოფილიყო, რამდენიმე დღის წინ მომხდარი მიწისძვრების დროს მემორიალური სახლი დაინგრეოდა. ამ დროს მე მუზეუმში ვიყავი და საკმაო ბიძგები იგრძნობოდა, რაც შენობას ძალზე დააზიანებდა. ფაქტობრივად, სახლი გადარჩა! ფიროსმანობის დღისთვის ასევე გამოიცემა ფიროსმანის გზამკვლევი, რომელიც აქამდე არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმი 50 წლის გახდა. ამავე დღეს მოხდება გზამკვლევის პრეზენტაცია. მინდა, ასეთი გამოწვევა შევთავაზო ყველა ქართველს, ნებისმიერ მხატვარს, ვისაც რა ფორმით სურს მონაწილეობის მიღება „ფიროსმანობის“ ღონისძიებაზე, მზად ვართ გავიზიაროთ!“ - აცხადებს ფიროსმანის მუზეუმის მმართველი ნელი გობეჯიშვილი.

ნიკალას ეზოში კულტურული ღონისძიებებისა და გამოფენების პარალელურად სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებებიც გაიმართება. იქვე ტრადიციული ქართული კერძების დაგემოვნებაც იქნება შესაძლებელი.

ილია მარტყოფლიშვილი

ფიროსმანი დეტალებში

ალბომი “ასი კვადრატი” ფიროსმანის სურათებში გაფანტული მარგალიტების - დეტალების ძიებაა და მას პითაგორას თუ მალევიჩის “კვადრატებთან” მხოლოდ გეომეტრიული მსგავსება აკავშირებს, - გვაფრთხილებს ალბომის კონცეფციის ავტორი, მხატვარი ვახტანგ რურუა.

კვადრატი აქ მხოლოდ ინსტრუმენტად არის შერჩეული, რომელიც მარტივი და მონესრიგებული ფორმატის ჩარჩო-ვიზირია.

ვახტანგ რურუამ ფიროსმანის 25 სურათიდან 100 დეტალი გამოყო და საშუალება მოგვცა, ამ გენიალური მხატვრის შემოქმედება კიდევ ერთხელ გაგვეაზრებინა. როდესაც საქმე შედევრს ეხება, ყველამ იცის, რომ იქ შემთხვევითი არაფერი შეიძლება იყოს, ისევე, როგორც ამ სამყაროში ღმერთს არ შეუქმნია შემთხვევით არაფერი. ფიროსმანი ის მხატვარია, რომელიც პასუხისმგებელია თითოეულ დეტალზე და მათგან ქმნის ერთ მთლიანობას, თუმცა კი ეს დეტალები ისეა განაწილებული კომპოზიციურად, რომ უბრალო დამთვალიერებელი ხშირად მათზე ყურადღებას არც ამახვილებს. ხშირ შემთხვევაში ეს დეტალები ფიროსმანთან კინოკადრებსაც კი შეგვიძლია შევადაროთ, რომელთა შეკრებით მხატვარი რაღაც ამბავს გვიყვება, ანდა იაპონურ ჰაიკუს - რამდენიმე პოეტური ფრაზა და ჩვენს წინ დასრულებული სურათი ჩნდება.

ფიროსმანი არ არის ისეთი მრავალკომპონენტიანი კომპოზიციების მხატვარი, როგორც ბოსხი, მაგრამ დეტალების დამუშავების მისეული ფორმა ამ მხატვრის შემოქმედებას შედევრებად აქცევს.

“ეს ალბომი კიდევ ერთელ გვარწმუნებს, რამხელა ოსტატი გვყავს, რამხელა სამყარო მოგვცა. ამ დეტალებში სწორედ მისი საშემსრულებლო ოსტატობა იკვეთება - მხოლოდ გენიოსს შეუძლია, ასეთი სახვითი ეფექტი ფუნჯის 2-3 ძალდაუტანებელი მოძრაობით მიიღოს. მართალია, ფიროსმანის შემოქმედება აღიარებულია, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ მისი სიღრმე ყველასათვის გასაგებია. ერთხელ, ფიროსმანის შემოქმედებაზე ერთსაათიანი საუბრის შემდეგ, მომიბრუნდნენ და მკითხეს: ხატვა იცოდაო? ეს ალბომი სწორედ ამის გარკვევაში დაგვეხმარება,” - ამბობს ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარია.

ფიროსმანის სურათებში შეიძლება გაუთავებლად მოძებნო დეტალები, რომლებსაც დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება აქვთ. ალბომში ბოლო კვადრატი ცარიელია - თითქოს ავტორი მიგვანიშნებს, რომ ფრაგმენტების ძიება დამოუკიდებლადაც შეგვიძლია განვაგრძოთ.

ამ ალბომს ერთი ფუნქციაც გააჩნია: მნიშვნელობა არ აქვს, იცნობს თუ არა დამთვალიერებელი ფიროსმანის შემოქმედებას, მისი ნახვისას ერთ ჭეშმარიტებას აუცილებლად მიხვდება - ნებისმიერ შედევრს კოლოსალური შრომა სჭირდება.

ამგვარი ალბომი საინტერესოა ხოლმე მხატვრების, ხელოვნებათმცოდნეებისა და სტუდენტებისათვის, მაგრამ, ფიროსმანის შემთხვევაში, უცხოელთათვის ქართული კულტურის გასაცნობად და ჩვენთვის მის წარმოსაჩენად ეს გამოცემა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იქნება.

წელს ნიკო ფიროსმანს 150 წელი უსრულდება, რაც იუნესკოს ეგიდით აღინიშნება. შეიძლება ითქვას, რომ ფიროსმანის საიუბილეო დღესასწაულები ამ ალბომის გამოცემით უკვე დაიწყო.

ფიროსმანის ახდენილი ოცნება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, მრგვალ მაგიდასთან, ნიკო ფიროსმანი სამოვარის თანხლებით 19 ოქტომბერს გაიხსენეს.

„შეხვედრა ფიროსმანთან“ — „საქართველო-გერმანიის საზოგადოების“ ორგანიზებით უკვე მეოთხედ ტარდება. სპეციალურად ამ დღისთვის სოფელ მირზაანში 30-მდე უცხოელი სტუმარი ჩავიდა.

როგორც „საქართველო-გერმანიის საზოგადოების“ თავმჯდომარე გოჩა ღულელაურმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამგვარ შეხვედრებს ტრადიციული სახე აქვს.

„მოგეხსენებათ, 1916 წელს ნიკალამ თქვა: „შევიკრიბოთ მრგვალ მაგიდასთან, ვსვათ ჩაი და ვისაუბროთ ხელოვნებაზეო“ — სწორედ ამიტომ, ფიროსმანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ხელოვანი ხალხი, მათ შორის უცხოელი სტუმრები, შევიკრიბეთ და სამოვარის თანხლებით, ვისაუბრეთ ხელოვნებაზე. სტუმრები ჩამოვიდნენ გერმანიიდან, შვედეთიდან, ამერიკასა და იტალიიდან. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ხელოვანი ადამიანები საკუთარი ხარჯებით გვესტუმრნენ, რათა ფიროსმანს და მის შემოქმედებას პატივი მიაგონ და დააფასონ,“ — აღნიშნა გოჩა ღულელაურმა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, აქცია 2006 წლიდან, ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

გოჩა ღულელაურის განმარტებით, 20 ოქტომბერს მათივე ორგანიზებით, თბილისში, „ქარვასლაში“ გაიმართება გამოფენა „ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება“. გამოფენა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

მისი თქმით, ამგვარ შეხვედრებში უცხოელი ხელოვანების მონაწილეობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც, სტუმრად ჩამოსული ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები უნებურად ნებაყოფლობითი ელჩები ხდებიან ფიროსმანის ხელოვნების, ქართული კულტურის, ჩვენი ყოფისა და მისი ტრადიციების.

„ეს მონაწილეები შემდგომში ესტაფეტას გადასცემენ სხვა მონაწილეებს, ხელოვნების დანარჩენ წარმომადგენლებს და ურჩევენ ამ ბიენალეში მიიღონ მონაწილეობა. ამ გზით ისინი საკუთარ ქვეყნებში ფიროსმანის შემოქმედებასა და ქართული კულტურის ირგვლივ ნაყოფიერ პოპულარიზაციას ეწევიან,“ - აღნიშნავს ღულელაური.

შეხვედრის დროს წარმოიშვა იდეა, შეიქმნას ფონდი, რომელიც ფიროსმანის პოპულარიზაციაზე აქტიურად იმუშავებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა გააჟღერა იდეა - დაწესდეს ფიროსმანის სახელობის სტიპენდია. ეს უნდა იყოს სტიპენდია, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლებას უზრუნველყოფს.

მისივე თქმით, ადრე არსებობდა ფიროსმანის სახელობის პრემია და უმჯობესია ის აღდგეს:

„ფიროსმანის სახელობის პრემია მხოლოდ ერთხელ გაიცა, ის არ-ბოშიკელ თვითნასწავლ მხატვარს ალექსანდრე ალადაშვილს მიენიჭა. კარგი იქნება, თუ ეს ტრადიცია აღდგება”. - განაცხადა ნელი გობეჯიშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

ვიცხოვროთ უსაფრთხო გარემოში

რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „Mercy Corps“-მა, რომლის მიზანია ბუნებრივი კატასტროფების შემცირება და ბიომრავალფეროვნების დაცვა კავკასიის რეგიონში, პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროში მორიგი შეხვედრა გამართა. შეხვედრა ითვალისწინებდა სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას, პრობლემების მოკვლევას და გამოვლენას ჩვენს მუნიციპალიტეტში. შეხვედრას ჩვენი მხრიდან ესწრებოდნენ „Mercy Corps“-ის პროექტის ოფიცერი კობა ალუღიშვილი, მწვანეთა მოძრაობა „დედამინის მეგობრები“ - არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ირმა რობიტაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მხრიდან ანა ბენაშვილი. სამუშაო შეხვედრას უძღვებოდა „მერსი ქორფსის“ მონიტორინგის უფროსი ოფიცერი ლიკა მარღანია.

„Mercy Corps“-ის დონორი ორგანიზაცია გახლავთ ევროკავშირი და ის ერთი მილიონიანი პაკეტით ფინანსურად უზრუნველყოფს ამიერკავკასიის სამი რეგიონის, სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის სასაზღვრო რაიონებს ბუნებრივი კატაკლიზმების საფრთხეების აღმოფხვრისა და შემცირების კუთხით. შეგახსენებთ, რომ „Mercy Corps“-ის ერთ-ერთი აქცია დედოფლისწყაროში რამდენიმე კვირის წინ უკვე მოეწყო, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ვიუწყებოდით, პროექტის მონაწილეებმა დარგეს 50 კატალპას ნერგი ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში. ამ შემთხვევაში მორიგი სამუშაო შეხვედრის მთავარი მიზანი გახლდათ ინფორმაციის მოპოვება და კვლევა დედოფლისწყაროს წინაშე ბოლო ათწლედში გამოკვეთილი არსებული ბუნებრივი საფრთხეების და კატაკლიზმებისა, რათა პროექტის ფარგლებში მოხდეს მზაობა ამ გამოწვევებისა და რისკების უზრუნველყოფის მიზნით.

როგორც გაირკვა, საქართველოს 7 სასაზღვრო რაიონში ჩატარებული ზოგადი კვლევების შედეგად მეცნიერებმა დადეს თითქმის ყველა მიმართულებით, (ესაა სასოფლო სამეურნეო, სოციალური თუ ბუნებრივი კატაკლიზმების კუთხით) რეკომენდაციების 25 წლიანი ზოგადი სცენარი, რათა შევქმნათ დაცული მომავალი. ამჯერად ხდება რეგიონულ დონეზე ძირეული შესწავლა და აღნიშნული სცენარის დახვეწა-დაზუსტება. სწორედ ამას ითვალისწინებდა მორიგი შეხვედრაც.

საინიციატივო ჯგუფის მუშაობის შედეგად წლების გადახედვის და კვლევის შედეგად გამოიკვეთა დედოფლისწყაროში ბუნებრივი რისკფაქტორების შემცველი შემდეგი სურათი,- აღმოჩნდა, რომ დედოფლისწყაროში კატასტროფული მოვლენებიდან ყველაზე პრიორიტეტული რისკები გახლავთ- გვალვა, გრიგალი, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა, გაუდაბნოება და ხანძრების სიხშირე. გამოიკვეთა ის სურათიც, თუ რამდენად მაღალია ამ კატაკლიზმების შედეგად მიყენებული ზიანი გარემო პირობებისთვის და უპირველესად ადამიანისთვის. ასევე დაისვა საკითხი ამგვარადაც, რეგრესირებენ ეს მოვლენები, თუ პროგრესირებენ. ჩვენდა სამწუხაროდ ხმათა უმრავლესობით აღმოჩნდა, რომ ჩამოთვლილი ბუნებრივი მოვლენები წლებთან ერთად თანდათან უფრო პროგრესირებენ, ვიდრე რეგრესირებენ.

რაც შეეხება გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს, გვალვას, ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობას, გრიგალს, გაუდაბნოებას და ხანძარს იწვევს კლიმატის შეუსაბამობა, მიკროკლიმატის შეცვლა მშრალი ჰავით, ნალექების არათანაბარი გადანაწილება, რაც იწვევს ნიადაგის დეგრადაციას,100%- იან მინის ეროზიას, მოსავლიანობის შემცირებას და ა.შ.

გამოსავლის ძიებაში საინიციატივო ჯგუფის გამოკითხვის შედეგად დადგინდა და განისაზღვრა პრიორიტეტები, თუ რით შეიძლება ვუშველოთ აღნიშნულ პრობლემებს და რა ღონისძიებები შეიძლება ჩავატაროთ მათ აღმოსაფხვრელად. გამოიყო 6 ძირითადი პრინციპი, რომელიც თითქმის ყველა ზემოთნახსენებ კატაკლიზმებს მკვეთრად შეამცირებს. 1-აუცილებელი ქარსაფარი ზოლების კიდევ უფრო მეტი განაშენიანება, 2-რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის გატყიანება და ახალი გვალვაგამძლე ჯიშის ნერგების გადარგვა, 3-სარწყავი სისტემის დანერგვა, 4-ალტერნატიული ენერგორესურსების დანერგვა, 5-მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, 6-საკანონმდებლო ბაზის დაწესება.

საკითხი დაისვა ამგავარადაც,თუ რამდენად მაღალი რისკის ქვეშაა რაიონში არსებული პრიორიტეტები. აღმოჩნდა, რომ ზარალის მიყენების კუთხით დედოფლისწყაროში არსებული ბუნებრივი კატაკლიზმები ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მემინდვრეობას16 ქულით, მევენახეობას 14 ქულით და მესაქონლეობას 12 ქულით.

როგორც ჩანს, იმისი რისკი, რომ მომავალში უფრო მეტად დავდგებით ამგვარი ბუნებრივი კატაკლიზმების წინაშე, საკმაოდ მაღალია. იმედს ვიტოვებთ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი მალე ამოქმედდება, რაც მცირედით მაინც შეამცირებს ჩვენს წინაშე არსებული ბუნებრივი საფრთხეების გამოწვევების ალბათობას, რაც იქნება გარანტი ვიცხოვროთ უსაფრთხო გარემოში.

ლალი მეხრიშვილი

რა ღირს ქართული ცხვარი?

საქართველოში ცხვრის ხორცი მაღალი გაყიდვით არ გამოირჩევა. ჩვენში არ არის ტრადიცია, რომ ცხვრის ხორცი აქტიურად გამოვიყენოთ. წელიწადში სულ 2 -3 დღეა, აღდგომის ჩათვლით, როცა ოჯახში ცხვრისა და ბატკნის კერძი კეთდება სადილად, - ასეთია ამ საკითხის მიმართ ბოლო წლებში ე. წ. სპეციალისტების ჩამოყალიბებული აზრი. ისინი ამ მოსაზრების მეტი დამაჯერებლობისთვის სტატისტიკას იშველიებენ - ცხვრის ხორცის მოხმარება ადგილობრივ ბაზარზე 5 - 7 პროცენტს არ აღემატებაო.

ამის მიუხედავად, ცხვრის ხორცის ფასი მაინც ძალიან მაღალია და უტოლდება საქონლისა და ღორის ხორცის ფასს. ცოცხალი ბატკანი დაახლოებით 150 ლარი ღირს, ცხვარი კი 180 - 200 ლარი ღირს. არადა, 2009 წლამდე ცხვრის შეძენა 60 - 80 ლარი ჯდებოდა. სწორედ ამ წელს დაიწყო საქართველოდან ცოცხალი ცხვრის მასიური ექსპორტი მუსულმანურ ქვეყნებში - არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ერაყში, ქუვეიტში, სირიასა და ყატარში. 2009 წელს საქართველოდან 267 000 ათასი სული ცხვარი გაიყვანეს, 2010 წელს - 160 560.

როგორც ვარაუდობენ, საქართველოს შეუძლია საექსპორტოდ გაიყვანოს 300 000 სული ცხვარი, რაც სავარაუდოდ კიდევ უფრო გააძვირებს ცხვრისა და ბატკნის ხორცს ადგილობრივ ბაზარზე.

ეს ის "საინტერესო" შემთხვევაა, როცა ცხვრის ძვირად გაყიდვით დაინტერესებული პირები ერთხმად ამტკიცებენ, - ცხვრის გაძვირება ნუ გვაშინებს, სამაგიეროდ ქვეყანაში ფული შემოვა, ჩვენი მოსახლეობა ხომ ცხვრის ხორცს იშვიათად მოიხმარსო.

არა მგონია მოსახლეობა ეთანხმებოდეს ამ არგუმენტს.

ჯერ ერთი, ცხვრისა და ბატკნის რეალიზაცია ქართულ ბაზარზე მკვეთრად შემცირდა სწორედ არარეალურად მაღალი ფასის გამო. მეორეც, - ჩვენში მიჩნეულია, რომ ცხვრის ხორცი ზოგადად მაწყინარია. ამ საკითხზე კომპეტენტურ პასუხს ალბათ ექიმი - დიეტოლოგები გაგვცემენ, თუმცა კი, მაგალითად, ცნობილია, რომ კვების ინგლისურ თანამედროვე სამედიცინო გაიდლაინებში (რეკომენდაცია), 1 წლიდან ბავშვის ბატკნის ხორცით კვებაა რეკომენდებული, რასაკვირველია სხვა საკვებთან ერთად.

ბიზნესს, მათ შორის ხორცის ბიზნესს თავისი კანონები აქვს და, ყველას ღმერთმა მოახმაროს ალალი შრომით ნაშოვნი ფული, მაგრამ რამდენად

ნორმალურია, რომ ხორცი მოსკოვში უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში.

მოსკოვში საქონლის ხორცის ფასი 8 ლარიდან იწყება და 13 ლარამდე ადის, ერევანში - 10,4 ლარი, ბაქოში 12 -17 ლარი ღირს, კიევში კი ხორცის მაქსიმალური ფასი 15 ლარია.

როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, მსოფლიოს ერთ -ერთ ყველაზე ძვირ ქალაქში მოსკოვშიც კი ხორცის ყიდვა უფრო იაფად შეიძლება, ვიდრე თბილისში. თუმცა, ყველა ზემოთჩამოთვლილ ქვეყანაში ექსპერტები და რიგითი მოქალაქეები ხორცის ფასს ხელოვნურად გაზრდილს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ახალ ხორცზე მაღალ მაზანდას გაყინული ხორცის ბიზნესის ხელშეწყობისათვის აწესებენ.

სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციები 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტისა და ხორცის ფასის მნიშვნელოვან ზრდას პროგნოზირებენ. ჩვენ უბრალოდ უფლება არა გვაქვს ტრადიციულ დარგებზე არ ვიზრუნოთ, მითუმეტეს არ მივხედოთ მეცხვარეობას. საჭიროა განისაზღვროს სწორი მენეჯმენტი, რომ სულ ცოტა ხნის წინ ასე ხელმისაწვდომი ცხვრისა და ბატკნის ხორცი დაუბრუნდეს დაბალმსყიდველუნარიან ქართულ ბაზარს.

გასაგებია, რომ ხორცის ფასთწარმოქმნას უამრავი ფაქტორი განაპირობებს - საძოვრების სიმცირე, საქონლის გადასარეკი ტრასების მოუწესრიგებლობა, დაავადებები, გადასახადები, უწყებრივი ბარიერები და უამრავი სხვა ფაქტორი. ამ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარეს ბექა გონაშვილს ვთხოვეთ.

- წინა წელთან შედარებით შემცირებულია ცხვრის ექსპორტი, მაგრამ იმისთვის, რომ ცხვარი ქართულ ბაზარს დაუბრუნდეს, ამისთვის ბევრი რამაა გასაკეთებელი. პირველი, არ შეიძლება საძოვარზე ამხელა გადასახადი იყოს- 1 ჰა-ზე 16 ლარი.მეცხვარეებს ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მოხმარება უწევთ, საერთო ჯამში მათ 30 ლარის გაღება უხდებათ მარტო გადასახადის სახით. ცხვრის თვითღირებულება იზრდება და მისი ფასი 115 ლარს აღწევს, ხოლო თუ მეცხვარეს საძოვრის ქირაობა უწევს, მაშინ ცხვრის თვითღირებულება კიდევ უფრო იზრდება და 127 ლარს აღწევს. საძოვრის მაღალი ფასი განსაზღვრავს შემდეგში იმას, რომ მეცხვარეები გაცილებით დიდი ოდენობის ცხვარს აძოვებენ, ვიდრე საჭიროა. ეს კი იწვევს ჭარბ ძოვებას, რაც გაუდაბნოებას გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია. რაც შეეხება ცხვრის ხორცის ხარისხს, აქაც სერიოზული პრობლემებია: ჯერ ერთი, სათანადო ყურადღება არ ექცევა სელექციას, ხარისხიანი საკვების პრობლემაც არსებობს, რადგან ქერი და ხორბალი საკმაოდ ძვირია, ასევე ყურადღებას იტხოვს ფერმები, რომლებიც სიძველისგან ამორტიზირებულია. ამ პრობლემების მოგვარებას კარგი მენეჯმენტი სჭირდება. აი, მაშინ კი დაუბრუნდება ცხვრის ხორცი დაბალმსყიდველუნარიან ქართულ ბაზარს.

მიხეილ მღებრიშვილი

პურის ბაზარზე სერიოზული კრიზისია

პური გაძვირდა, ხორბალი?

რამდენიმე დღის წინ საქართველოში პური გაძვირდა. საცალო ქსელში ქარხნული პურის ფასმა 5 თეთრით, ხოლო თონის პურმა 10 თეთრით მოიმატა. პირველად პურის ფასზე ცვლილება რეგიონებში მოხდა, მოგვიანებით კი ამ პროცესმა დედაქალაქშიც გადაინაცვლა. ხორბლისა და პურ-პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის ლევან სილაგავას თქმით, პურის გაძვირების მთავარი მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მარაგის სერიოზული კრიზისია.

„ჩვენი მომწოდებლები ძირითადად რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთია. გვალვის პერიოდები დაემთხვა ხორბლის აღებას და მოსავალი შეუმცირდათ. მაგალითად, შარშან რუსეთში თუ 95 მილიონი ტონა ხორბალი მოვიდა, წელს 68 მილიონი მიიღეს. მსოფლიო სასურსათო კომიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციას ქვეყნებში არსებული მარაგების შესახებ და ყველგან არასახარბიელო მდგომარეობაა. შარშან, მსოფლიოში 696 მილიონი ტონა ხორბალი მოვიდა, წელს ოქტომბერში გამოქვეყნდა 653 მილიონი ტონა“ - აცხადებს სილაგავა.

მისივე თქმით, ყველა ექსპორტიორი ქვეყანა აქვეყნებს დაახლოებით რამდენ ტონა ექსპორტს გაიტანს მარკეტინგული წლის განმავლობაში. „შარშან რუსეთს ჰქონდა 27 მილიონი ტონა, წელს აცხადებდა 12 მილიონ ტონას, უკრაინა 5 მილიონ ტონას. რუსეთიდან 8 მილიონი ტონა უკვე გატანილია. ნოემბერში დადგება კრიტიკული ზღვარი. როგორც უკრაინელები ვარაუდობენ, ეს ზღვარი მათთან იანვრის შუა რიცხვებში დადგება. თუ ფოთში შემოტანილი რუსული ხორბლის ფასი იყო 250 აშშ დოლარი, დღეისათვის ეს უტოლდება 350 -360 დოლარს, ანუ 100 დოლარით გაძვირდა“, — აღნიშნა სილაგავამ.



დედოფლისწყაროელები აპროტესტებენ საქართველოში მთავარ პროდუქტზე ფასის მომატებას და ამბობენ, რომ „საქართველოს პურის ბელელად“ წოდებულ რაიონს ეს არ უნდა შეხებოდა. ჩვენ დავინტერესდით, რამდენად აისახა ფქვილსა და პურზე ფასების ზრდა ადგილობრივი პროდუქციის ფასზე, კერძოდ, მოიმატა თუ არა ხორბლის ფასმა?

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, 1 კგ. ხორბალი 45—50 თეთრი ღირს. როგორც ხორბლის მწარმოებლები აცხადებენ, ხორბლის ძველი ფასი მდგრადობას ინარჩუნებს და პურის გაძვირებას ხორბლის ფასზე გავლენა ჯერ არ მოუხდენია. მიუხედავად იმისა, რომ წელს ხორბლის დაბალი მოსავალი იყო საქართველოშიც. ისინი გულისტკივილით საუბრობენ, რომ ენერგომატარებლებზე, ტექნიკასა და სასუქზე მაღალმა ფასმა ბოლო წლების მანძილზე ხორბლის წარმოება მნიშვნელოვნად შეამცირა.ბევრი წვრილი ფერმერი უარს ამბობს მიწის დამუშავებაზე უსახსრობის გამო, ზოგჯერ კი ფერმერებს მოსავალს არასახარბიელო ამინდი და გარემო პირობებიც უმცირებს. წელს უამინდობამ ხორბლის მოსავლის 40 პროცენტი გაიფუჭა დედოფლისწყაროში.

სწორედ ამ ფაქტორებმა გახადა საქართველო მსოფლიო ბაზარზე დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამამულო პროდუქცია ქვეყნის შიდა ბაზარს მთლიანად ვერა, მაგრამ მნიშვნელოვანწილად მაინც დააკმაყოფილებდა.

ინგა შიოლაშვილი

სამთაწყაროელი ეკომიგრანტები მიწების დაბრუნებას ითხოვენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობა ჩამორთმეული მიწების დაბრუნებას ითხოვს. ამ მოთხოვნით სოფელში ასამდე მცხოვრებმა მიწების გასხვისება გააპროტესტა.

ნიკოლოზ შანშიაშვილი: „მიწები აუქციონით, კანონიერად გაიყიდა და მათი ყიდვა სამთაწყაროელებსაც შეეძლოთ“

„აქ არსებობას ვეღარ ვახერხებთ, ცხოვრება ძალიან გვიჭირს. მიწა რომ გვექნება დამუშავებას არავინ დაიზარებს და საარსებო წყარო გვექნება. ასე თუ გაგრძელდა და მიწებიც ვერ დავიბრუნეთ, ავდგებით და ისევ აჭარაში გადავსახლდებით“ — აცხადებს მოსახლეობა.

ამ სადაო მიწებზე ამჟამად ზეთისხილის სანერგეა გაშენებული. ადგილობრივები აცხადებენ, რომ არავინ განუმარტათ, რატომ ჩამოერთვათ, ან ვინ გააშენა ზეთისხილის პლანტაციები.

როგორც სამთაწყაროელები ამბობენ, მიწის გარეშე მათ სოფლად ცხოვრებას აზრი არ აქვს. მათი საარსებო პირობების გაუმჯობესებისთვის ადგილობრივები მოსახლეობისთვის მიწების დაბრუნების აუცილებლობაზე საუბრობენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში აცხადებენ, რომ ზეთისხილი აუქციონში გამარჯვებულმა კომპანიამ გააშენა.

სოფელ სამთაწყაროში მიწების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოგვიანებით კომენტარი გააკეთა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა. გამგებელი მომხდარში უკანონოს ვერაფერს ხედავს.

ნიკოლოზ შანშიაშვილმა განაცხადა, რომ მიწები აუქციონის წესით, სრულიად კანონიერად გაიყიდა და მათი ყიდვა სამთაწყაროელებსაც თავისუფლად შეეძლოთ.

„მიწას, რომელსაც საიჯარო ურთიერთობის ვადა გასდის, პირდაპირ აუქციონის ფორმით პრივატიზებას ექვემდებარება. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ეს მიწები აუქციონზე არის გატანილი და ამ აუქციონში მონაწილეობის უფლება ყველა ადამიანს ჰქონდა, მათ შორის ყოფილ მოსარგებლეებსაც. ამის შემდგომ გამოვლინდებოდა ახალი მესაკუთრე. ზუსტად არ მახსოვს, შპს-ს დასახელება, რომელმაც ამ მიწებზე ზეთისხილის პლანტაცია გააშენა, თუმცა ეს არის აუქციონში გამარჯვებული კომპანია,“ — განმარტავს დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი.

ზეთისხილის პლანტაციებთან მყოფმა დარაჯმა ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ ტერიტორია იტალიელებს ეკუთვნის.

ილია მარტყოფლიშვილი

როგორც ცნობილია, საზღვრისპირა სოფელ სამთაწყაროში აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. მათი განცხადებით, მიწების დიდი ნაწილი ჩამოართვეს და გაყიდეს.

მოსახლეობის განმარტებით, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საზღვრისპირა სოფლებში არსებული მიგრაცია კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს და სოფელი დაცლის წინაშე აღმოჩნდება.

გამოცდილების გაზიარება საპილოტე პროექტების პროგრამით

უკვე დასრულების ფაზაშია 2009 წელს, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებადი რეგიონალური პროექტი ,,მინის რესურსების მდგრადი მართვა ნიადაგის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში". პროექტების განმახორციელებელმა მხარეებმა (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) უკვე მოახდინეს განხორციელებული საპილოტე პროექტების პრეზენტაციები ბულაჩაურში ,,CENN''-ის ,,მწვანე ცენტრში". ამჟამად, მიმდინარეობს განხორციელებული პროექტების პრაქტიკულად გაცნობა და ადგილზე გამოცდილების გაზიარება.

12 ოქტომბერს, სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა ქართულ-აზერბაიჯანული მხარის 40 კაციანი დელეგაცია დედოფლისწყაროში, სოფელ ფიროსმანში, სადაც რამდენიმე დღის წინ, დასრულდა საპილოტე პროექტით გათვალისწინებული ბოლო საქმიანობა - თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად, მინი სათბურის მოწყობა ბოსტნეული კულტურებისთვის, დამონტაჟდა წვეთოვანი რწყვის სისტემა და დაირგო პომიდვრის ჩითილები მულჩირების ტექნოლოგიის გამოყენებით. ჩამოსულ სტუმრებს პროექტის დეტალების შესახებ

ესაუბრნენ და პრაქტიკული საქმიანობები გააცნეს პროექტის ეროვნულმა კოორდინატორმა ნინო თევზაძემ და ადგილობრივმა კოორდინატორმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტმა ანა ბენაშვილმა. მოგეხსენებათ, რომ საპილოტე პროექტის ,,თესლბრუნვის პრაქტიკისა და წვეთოვანი რწყვის სისტემის დანერგვა სახნავი მიწების დეგრადაციის პრევენციისა და შერბილების მიზნით", ფარგლებში, ფიროსმანში, ფერმერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ, ჩამოყალიბდა ,,სოფლის აღორძინების ასოციაცია", რომლის წევრებმაც, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით თავად მოახდინეს სამონტაჟო სამუშაოები და ახლადშეძენილი მცირე ტექნიკის გამოცდა. შედეგით ყველა კმაყოფილი დარჩა. პროექტის ექსპერტმა, პროფესორმა კობა კობალაძემ მოკლედ ისაუბრა, კლიმატის ცვლილების პირობებში, თანამედროვე ტექნოლოგიების (წვეთოვანი რწყვის) გამოყენების უპირატესობებზე და მისი დანერგვის აუცილებლობაზე, უპასუხა სტუმრების შეკითხვებს.

16 ოქტომბერს კი ფიროსმანელი ფერმერები, საგარეჯოელ და ბოლნისელ ფერმერებთან ერთად, სიღნაღის მუნიციპალიტეში, ქალაქ წნორში, ვაჟა ტუხაშვილის ფერმერულ მეურნეობას სტუმრობდნენ, სადაც, ამავე პროექტის ფარგლებში, განხორციელდა საპილოტე პროექტი ,,ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა".

პროექტის ფარგლებში მოხდა კალიფორნიული წითელი ჭიაყელების ფერმის მოწყობა ბიოჰუმუსის წარმოების მიზნით. განხორციელებული საქმიანობების შესახებ ისაუბრა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის ,,საქართველოს ფერმერთა სახლის" დირექტორმა ლერი გიგინეიშვილმა. მან მიმოიხილა ბიოჰუმუსის წარმოების ძირითადი ეტაპები: ნედლეულის მომზადება, ფერმენტაცია, ჭიაყელების ჩასახლება, მზა პროდუქციის მიღება, სადედე ჭიაყელების გამოზრდა. როგორც აქ აღინიშნა, ერთ ჭიაყელას შეუძლია წელიწადში 1 500-მდე პოპულაციის მიღება. ჭიაყელების გამოკვება ხდება ქათმის სკორის და საქონლის ნაკელის ნაზავით, რომელსაც სპეციალური დამაქუცმაცემელი მოწყობილობით დამუშავებულ მაკულატურას, ნახერხს, თივას ნაფცქვენებს და სხვადასხვა ბიოლოგიურ ნარჩენებს ურევენ. ჭიაყელების მიერ ამ საკვების გადამუშავების შედეგად მიღებული მასა უნიკალური ორგანული, ეკოლოგიურად სუფთა სასუქია ნიადაგისთვის. ის ერთდროულად შეიცავს ბუნებრივ კალიუმს, აზოტს და ფოსფორს, მცირე რაოდენობით შეიტანება ნიადაგში 6-7 წელიწადში ერთხელ.

ამგვარად გამდიდრებული ნიადაგიდან ხდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღება, ეს კი ხელს უწყობს, სამომავლოდ, ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ევროპულ ბაზარზე გასატანი პროდუქცია, არსებული კანონმდებლობით, უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სულ მალე დადგება დღის წესრიგში ბიოჰუმუსის წარმოების და ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობა. წნორელმა ფერმერებმა ჭიაყელების ფერმაში წარმოებული ბიოჰუმუსის შეტანა უკვე მოახდინეს სასათბურე მეურნეობაში და ვარაუდობენ, რომ დეკემბრისთვის უკვე მიიღებენ ეკოლოგიურად სუფთა პომიდვრის მოსავალს.

როგორც ლერი გიგინეიშვილმა აღნიშნა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გათვალისწინებულია მთავრობის მიერ დაგეგმილ სახელმწიფო პროგრამებში.

საპილოტე პროექტების გაცნობა-დათვალიერებაში მონაწილეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სპეციალისტი ვალერი გოგილაშვილი.

ანა ბენაშვილი

მიწისძვრა აზერბაიჯანის საზღვართან და კვლავაც დაუთვლელი ზარალი

13-14 ოქტომბერს დედოფლისწყაროში მიწისძვრა დაფიქსირდა. მიწისქვეშა ბიძგები 13 ოქტომბერს ღამის 22.43 საათზე შეინიშნებოდა. მისი სიმძლავრე სავარაუდოდ 4 ბალს აღემატებოდა. ორი დღის განმავლობაში კახეთში მიწისძვრა რვაჯერ აღინიშნა.

ილიას უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი სიღნაღის რაიონის დაბა წნორში იყო და მისმა სიმძლავრემ 4,4 მაგნიტუდა შეადგინა. მონაცემები სეისმური მონიტორინგის ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა.

მოგვიანებით, სეისმური მონიტორინგის ვებგვერდზე მონაცემები შეიცვალა და აღინიშნა, რომ რყევების ეპიცენტრი აზერბაიჯანში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან 5 კილომეტრში საინგილოს ტერიტორიაზე აღინიშნა, 10 კილომეტრ სიღრმეზე. ეპიცენტრი სოფელი ითითალაა 4,6 მაგნიტუდი სიმძლავრით.

ნგრევის, მიყენებული ზარალისა თაობაზე ინფორმაცია ამ ეტაპზე არ არსებობს.

14 ოქტომბერს შუადღისას გაცილებით ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები კიდევ განმეორდა. საქართველოში თბილისის დროით, 14:13 საათზე მიწისძვრა მოხდა. სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის სიძლიერემ 5,1 მაგნიტუდა შეადგინა.

მიწისძვრის ეპიცენტი ქალაქი წნორის ჩრდილო-აღმოსავლეთით — 13კმ. სოფელი ულიანოვკაში მდებარეობდა. მიწისძვრის კერა 10 კმ. სიღმეზე დაფიქსირდა.

აღნიშნულ მიწისძვრას წინ უსწრებდა უნფრო ნაკლები სიმძლავრის 3,7 მაგნიტუდის ბიძგები, რომელიც 14:08 საათზე ქალაქ წნორის აღმოსავლეთით 6 კილომენტში სოფელ ერისიმედთან მოხდა. მისი კერა 6 კილომეტრ სიღრმეზე მდებარეობდა.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურში მომხდარი მიწისძვრის შედეგად საჯარო სკოლის შენობა და საცხოვრებელი სახლი დაზიანდა. რადიო „ჰერეთის" ცნობით, ლაგოდეხის გამგეობაში 387-ი დაზარალებული ოჯახის განცხადებაა შესული. ზარალის რაოდენობა ამ ეტაპზე უცნობია.

როგორც ისტორიული ჰერეთიდან გაზეთ „შირაქს" ჰერეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორმა ზაურ რამაზანოვმა აცნობა, მიწისძვრა საინგილოში მსხვერპლით დასრულდა. სოფელ ქორთალის მკვიდრი 1936 წელს დაბადებული ხ. ზინადოვა, მიწისძვრის დროს საცხოვრებელი სახლის დატოვებისას წაიქცა, რის შედეგადაც ტვინის ტრავმა მიიღო. 76 წლის ქალი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

მიწისძვრამ მოსახლეობაში სტრესი და ფსიქოლოგიური დაძაბულობა გამოიწვია.

მიწისძვრის შედეგად ბოლო მონაცემებით, ბელექის რაიონის სოფელ ბედღარისა და შერიფის საშუალო სკოლები, ხოლო ახალი შერიფის სკოლა და ფოსტის შენობა დაზიანდა.

ბელექანის რაიონულ საავადმყოფოში სულ 3 დაშავებული ადამიანი მიიყვანეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ციხის სკანდალის სკანდალური გაგრძელება

პატიმრების წამების ამსახველი მასალის გამომააშკარავებელი ვლადიმერ ბედუკაძე დიდი ხანია თავისი ოჯახის თურქეთიდან ბელგიაში ჩაყვანას ითხოვს, რაც არა და არ ხერხდება. ამ ხნის განმავლობაში მასა და მერაბ ბლადაძეს (ბრიუსელში „ობიექტივის" წარმომადგენელი) შორის ურთიერთობა დაიძაბა. ბლადაძემ აღიარა, რომ ბედუკაძეს სცემა და ჯალათი უწოდა. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი მასთან ცხოვრობდა. ამ ამბის გახმაურების შემდეგ ბლადაძემ ბრიუსელში "ობიექტივის" წარმომადგენლის პოსტი დატოვა. ბედუკაძე ამჟამად საქართველოს ყოფილი სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ყოფილ მოადგილესთან, დაზვერვის პირველი რანგის კაპიტან ვიქტორ ჭელიძესთან ცხოვრობს და ამბობს, რომ მას ჭელიძის გარდა, ყველამ უღალატა. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ბლადაძე ვიქტორ ჭელიძესაც დაესხა თავს და დაზიანებები მიაყენა. რა გახდა ამ დაპირისპირების მიზეზი და რა დეტალები იკვეთება სკანდალური ვიდეომასალის გამომზეურებისა და გავრცელების საქმეში? "კვირის პალიტრა" ბელგიაში მყოფ ვიქტორ ჭელიძესა და ვლადიმერ ბედუკაძეს ესაუბრა:

ვიქტორ ჭელიძე: - მერაბ ბლადაძემ ბედუკაძეს სასმელში რაღაც ჩაუყარა და გათიშა. მერე ისე სცემა, რომ კაცმა ტვინის შერყევა მიიღო. რისთვის იყო საჭირო ასეთი ტერორი? ცხადია, ამ კაცს ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ არჩევნებამდე მოხერხებულიყო მისი საქართველოში ექსტრადიცია, სადაც დაიჭერდნენ და ათქმევინებდნენ, თუ როგორ აძლევდა თამაზ თამაზაშვილი დავალებებს. სხვა ახსნა ამ ამბავს არა აქვს. "ობიექტივის" წარმომადგენლებმა ბედუკაძეს ურჩიეს, ბელგიის კომისარიატში მისულიყო და ეთქვა, რომ საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა. ამით მან პოლიტიკური თავშესაფრის მიღების შანსი დაკარგა, სწორედ ეს იყო "ობიექტივის" წარმომადგენელთა ჩანაფიქრიც. ბედუკაძე მოგვიანებით კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ისეთი იმიჯი შეუქმნეს, თითქოს თავად იყო კაცის მკვლელი, პატიმრების მწამებელი. მოკლედ, გარეთ ცხვირს ვეღარ ჰყოფდა. ბელგიაში მყოფ ბევრ ქართველს მისი დანახვა აღიზიანებდა და შეიძლებოდა ვინმე თავსაც დასხმოდა. ბედუკაძე თანდათან ბლადაძის მძევალს დაემსგავსა. ამის შემდეგ დახმარება მთხოვა. მე მას სამართლებრივი ბრძოლის გზა დავანახე. ეს მისთვის ერთადერთი ხსნა იყო. ხელახლა მივიდა კომისარიატში, საკუთარ თავზე სწორი მონაცემები მისცა და მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი.

- ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ მას ბედუკაძის მიერ გადაღებული ვიდეომასალა შს მინისტრის მოადგილემ მიაწოდა.

- სიცრუეა. დაეზუსტოს ინაშვილმა, ვინ მიაწოდა მასალა. სინამდვილეში ბედუკაძემ ერთ კაცს სთხოვა დახმარება იმისთვის, რომ საზღვარგარეთ გაეღწია და ეს მასალა გაეტანა. იმ პერსონის სახელსა და გვარს ამჯერად არ დავასახელებ და იქსად მოვიხსენიებ, თუმცა მხოლოდ კურიერის ფუნქცია შეასრულა და ფირი ბრიუსელში ჩაიტანა.

ვლადიმერ ბედუკაძე: "საზღვარზე გადასვლისას სულ ვფიქრობდი, რომ დამაკავებდნენ. ინაშვილის თქმით კი გამოდის, რომ შსს-ს წარმომადგენლებმა გამაცილეს, რაც სიცრუეა".

ვიქტორ ჭელიძე: "როცა ბედუკაძემ დახმარება სთხოვა იქსს, ისიც უთხრა, ეცადე, ამ საქმეში არ ჩარიო ქურდები და რუსები (რუსულ სპეცსამსახურებს დაქვემდებარებული ძალები იგულისხმება. - ე.ა.). თავად ბედუკაძემ აარჩია ზუსტი დრო და მიიღო ეს საჭირო გადაწყვეტილება. ახლა კი მისი გაკეთებული საქმით ქულებს სხვები იწერენ, გაიძახიან, შს სამინისტროსგან მოგვანოდეს ინფორმაციაო. ლადოს კი ეუბნებიან, ჭკვიანად თუ არ იქნები, დაგიჭერენო. ბლადაძემ თავად თქვა, ბედუკაძე ჯალათია და დიახაც, ხელს ვუშლიდი, რომ მასთან თურქეთიდან ცოლ-შვილი ჩაეყვანათო".

ლადო ბედუკაძე: "ბლადაძე ამბობს, რომ თურმე ჩანაწერში ჩემი ხმა გაიგო და აღშფოთდა. ეს ჩანაწერი მე გამოვიტანე იმ დახშული სივრციდან, სადაც ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე ბუზიც კი ვერ შეფრინდებოდა. დიახ, მე ვიღებდი ზემდგომების დავალებით, რომლებიც მენდობოდნენ და სწორედ ამიტომ გამოვიტანე ჩანაწერი. რა გასაკვირია, თუ იქ ჩემი ხმა ისმის და არა ბებიაჩემის? ზემდგომები იმიტომაც მენდობოდნენ, რომ იცოდნენ, ჩემი იქ ყოფნა ჩემივე კომპრომატიც იყო, ამიტომაც ვერ წარმოედგინათ, ჩანაწერს რომ გამოვიტანდი... ახლა კი რა გამოდის? თურმე ბლადაძემ ჩემი ხმა გაიგო და აღშფოთდა? კი მაგრამ, სამი თვის წინ ჰქონდა ეგ კასეტა ნანახი და ახლა რამ აღაშფოთა?"

ვიქტორ ჭელიძე: - როგორც უკვე გითხარით, ბედუკაძემ თავად დაგეგმა ამ კადრების გამომზეურება, სხვები კი უცბად აღმოჩნდნენ "გმირები", რაშიც ჩემი აზრით, ფულიც აიღეს.

- რა იცით?

- ბედუკაძეს ფოფხაძემ უთხრა, რაღა გინდა, შენზე ვზრუნავთ, ბლადაძის ბინაში ხარ და შენთვის მოსაცემ ფულს ბლადაძეს ვაძლევთო.

- დაუჯერებელია, რომ ბედუკაძე ისე წავიდა რისკზე, უსაფრთხოების გარანტია არ ჰქონია.

- არ ჰქონია. მას გაუკეთეს ტურისტული ვიზა, პასპორტი და გამოუშვეს. სხვათა შორის, "ობიექტივის" ჟურნალისტების ჯგუფმა გადაიყვანა ბედუკაძის ოჯახი თურქეთში. ერთ-ერთი ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა იყო. რამდენადაც ვიცი, მისი ძმა მერაბშვილთან მუშაობდა. საინტერესოა, ინაშვილმა ვიდეომასალის მომწოდებლად სწორედ ის ხომ არ გაასაღა? მაშ, ვის გულისხმობდა, როცა თქვა, კასეტა შს მინისტრის მოადგილემ მომანოდაო? ამ ვიდეომასალის შესახებ ინფორმაცია ძალიან მალე რომ მივიდა ვანოსთან, ეს ფაქტია. ამიტომაც იყო, რომ შსს-მ დაასწრო ყველას და ფრაგმენტულად რაღაც კადრი პატიმრის ცემის შესახებ გაავრცელა.

ლადო ბედუკაძე: - სწორედ ეს კადრი იყო დადგმული, რომელიც შსს-მ აჩვენა. გლდანის მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ლევან ფურცხვანიძემ (რომელიც შსს-ს ჩანერგილი იყო ამ სისტემაში) წაიყვანა თანამშრომლები - ბესო ფარულავა, ლევან ფხალაძე და მათ პატიმრის ცემა უბრძანა. გამორიცხული იყო მათ წინააღმდეგობა გაეწიათ და გადაუღეს კიდეც ამ პროცესს და კადრები გაავრცელეს. მერაბიშვილმა ამ დროს უკვე იცოდა, რომ ვიდეომასალა ციხიდან გატანილი მქონდა და ფხალაძე, ისევე როგორც ფარულავა, სულ ტყუილად შესწირეს ამ საქმეს".

ვიქტორ ჭელიძე: „შსს-მ როგორც კი ეს კადრები აჩვენა, ბედუკაძემ თქვა, მოცდა აღარ შეიძლება და მასალა ახლავე უნდა გამომზეურდესო. ფოფხაძესა და ბლადაძეს კი არჩევნებამდე თვე-ნახევრით ადრეც კი უნდოდათ ამ ფირის გაშვება, მივიდნენ ბედუკაძის ბელგიელ ადვოკატთან და კასეტა მოსთხოვეს, უნდა გავამჟღავნოთო, მაგრამ ადვოკატმა უფლება არ მისცა. მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, რომ ეს ადამიანები, ერთი მხრივ, მერაბიშვილის თამაშს ხომ არ თამაშობდნენ, მეორე მხრივ მათი კავშირი გავშიფრე რუსეთის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ მყოფ პირებთან.

- მაინც ვისთან?

- რუსეთში მოღვაწე ვლადიმერ ხომერიკთან, ბადრი მელაძესთან და სხვ. ერთ-ერთი ჩემი ნაცნობი მივიდა ხომერიკთან და მასთან საუბარი ჩაწერა. ეს კაცი ხომერიკს პირდაპირ ეუბნება, ბედუკაძე ბრიუსელში ჩაიყვანეს და ძალიან ცუდად ექცევიანო. "რას ამბობთ?" - უკვირს ხომერიკს, ბედუკაძე იქ ჩემს ხალხთან არისო, - ბლადაძე იგულისხმა... ხომერიკი ბელგიაში ხუთჯერ ჩამოვიდა და მაქვს მისი "ობიექტივის" წარმომადგენლებთან შეხვედრის ამსახველი მასალაც, რასაც სასამართლოს გადავცემ. ყველას ხელს აძლევდა, ბედუკაძე მძევალივით ჰყოლოდათ. ბევრს არ უნდოდა, რომ საქართველოში ყველაფერი მშვიდობით დასრულებულიყო. ახლა კი ეს წრე იმაზეც ზრუნავს, რომ ბიძინას მძლავრი ოპოზიცია შეუქმნას. ნახავთ, სულ მალე დაინყება ეს პროცესი, სადაც მონაწილეობას არა მხოლოდ "ნაციონალები", არამედ დღევანდელი ოპოზიციის ნაწილიც მიიღებს. ბედუკაძე კარგი გამოსაყენებელი იყო ამ საქმისთვის, მაგალითად, ალპარაკებდნენ, როგორ და ვისი დაკვეთით იღებდნენ ნამების ამსახველ მასალას, ვისთან ჰქონდა კონტაქტი და ა.შ., რაც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდაც გამოეყენებინათ. მოკლედ, არსებობს როგორც საქართველოში, ასევე რუსეთშიც ძალა, რომელიც ცდილობს ივანიშვილის დასაშანტაჟებელი მასალის შექმნას, წყაროების მოპოვებას, რათა ზეგავლენა იქონიოს მასზე მომავალ პოლიტიკურ პროცესებში.

მისდა უნებურად ბედუკაძემ ამას ხელი შეუშალა და ამიტომაც გაგიჟდნენ, სცემეს. ჩემთანაც ამიტომ არიან აგრესიულები. ამჟამად ყოველი ჩვენი გადაადგილების შესახებ ვატყობინებ ბელგიის პოლიციას, რაც "ობიექტივის" წარმომადგენლებს ძალიან არ მოსწონთ. "მაკდონალდსში" ვიყავით, როცა ბლადაძე თავს დამესხა, კასტეტი გამწარებით ჩამცხო. სამედიცინო ექსპერტიზა გავიარე და ცნობა პოლიციას წარვუდგინე. ბელგიის პროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება, მიმდინარეობდა თუ არა ზეწოლა ბედუკაძეზე. ახლა მხოლოდ სიმართლის დადგენის იმედი გვაქვს. ვიმეორებ, ამ საქმეზე უკვე ძიებაა დაწყებული ბელგიაში სწორედ იმის გამო, რომ ბედუკაძეს აშანტაჟებდნენ. ამ ვითარებაში დიდი საშიშროების წინაშე არიან მისი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი თურქეთში. ვფიქრობ, ამასაც ბედუკაძეზე გავლენის მოსაპოვებლად იყენებენ".

- ბატონო ვლადიმერ, ეთანხმებით ჭელიძის შეფასებებს?

- ახლა ზედმეტი კომენტარებისგან თავს შევიკავებ, რადგან ჩემი ოჯახის უსაფრთხოება დაცული არ არის. ერთი კი შემიძლია გითხრათ, - ირმა ინაშვილი სატელევიზიო ჩართვისას გავიცანი, მანამდე არც მენახა. ფოფხაძემ კი ახლახან მითხრა, ხელები დამიბანია, თამაშიდან გავდივარო. როგორც ვხედავ, მათი თამაში მე სიცოცხლის ფასად მიჯდება.

სხვადასხვა საიტიდან ვიგებ, რომ თურმე ინაშვილს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორობა უნდა, თარხან-მოურავს - მინისტრობა, ბლადაძეს - ელჩობა, ფოფხაძეს კიდევ რაღაც და ნამდვილად არ მეგონა, თუ ჩართული ვიქნებოდი ასეთ ბინძურ თამაშში და ყველა თუ მიღალატებდა. სწორედ ამის გამო ერთ-ერთ ინტერვიუში სასოწარკვეთილმა განვაცხადე, დაე, მოეკლათ და ეწამებინათ პატიმრები, რას დავეძებდი, თავი რატომ გადავდე-მეთქი. შეიძლება, მიშა მართლაც მაგარია და თუ რატომ ვამბობ ამას, ალბათ მალევე გაიგებთ(?!).

ამ სკანდალური განცხადებების შემდეგ "ობიექტივის" ჟურნალისტს, **ირმა ინაშვილს** დავუკავშირდით:

- ნამდვილად არა მაქვს ინფორმაცია, რომ ბელგიის პროკურატურა ჩვენი მხრიდან ბედუკაძის დაშანტაჟების ფაქტზე მოკვლევას აწარმოებს.

პირიქით, ჩვენი ადვოკატი იცავს ბედუკაძეს. იმასაც ვადასტურებ, რომ ბელგიის პროკურატურამ მიიღო ამ ადვოკატის სარჩელი იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ციხეებში დანაშაულს სჩადიოდა.

- რატომ განაცხადა ბლადაძემ, რომ ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა ბედუკაძის ცოლ-შვილის ჩაყვანას ბელგიაში?

- ბლადაძე უკვე აღარ არის "ობიექტივის" წევრი და წარმომადგენელი. მას ფიზიკურად არ შეეძლო ამ პროცესისთვის ხელის შეშლა. სხვა საკითხია ის, რაც მან ემოციურ ფონზე განაცხადა... ისე, "ობიექტივის" ჟურნალისტებმა გადაიყვანეს ბედუკაძის ოჯახი თურქეთში და ბოლო დრომდე მათთან იმყოფებოდნენ. როცა მივხვდით, რომ ოჯახს არ უნდა ჩვენი ჟურნალისტების იქ ყოფნა, გამოვიწვიეთ კოლეგები თბილისში.

- ნინო ჯღარკავა გაჰყვა ბედუკაძის ცოლ-შვილს თურქეთში?

- ოთხი ჟურნალისტი გაჰყვა, ერთ-ერთი ნინო ჯღარკავა იყო.

- ვიქტორ ჭელიძე ამბობს, რომ ნინო ჯღარკავას ძმა მუშაობდა მერაბიშვილთან მაღალ თანამდებობაზე.

- საერთოდ, ვინ არის ეს ვიქტორ ჭელიძე? რა შუაშია ამ ყველაფერში? მე მის განცხადებებზე კომენტარს არ გაკეთებ. სიმართლე გითხრათ, ბედუკაძის გარემოცვა ეჭვს იწვევს. ვფიქრობ, მის უსაფრთხოებას რაღაც ემუქრება. ჭელიძეს რა მიზნები ამოძრავებს, არ ვიცი.

- და მაინც, "ობიექტივის" წარმომადგენლებს ბედუკაძის შესახებ გქონდათ თუ არა საუბარი ან შეხვედრა რუსეთში ვლადიმერ ხომერიკთან?

- ეს სისულელეა! პირიქით, მაქვს ინფორმაცია, რომ ჭელიძე და სხვა ამხანაგები იყვნენ ხომერიკებსა და მისთანებთან დაკავშირებული და პარალელურად, ქართული სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდნენ. ამჯერად მათი მიზანი "ობიექტივის" დისკრედიტაციაა.

- ანუ გამორიცხავთ ისეთი ფოტო, აუდიო და ვიდეომასალის არსებობას, სადაც ხომერიკთან "ობიექტივის" წარმომადგენლების შეხვედრები იქნება ასახული?

- ასეთი მასალა არ არსებობს. ხომერიკს არ ვიცნობ, თვალით არ მინახავს და მეტსაც გეტყვით, მასზე კარგი წარმოდგენა არა მაქვს.

P.S. გიორგი ფოფხაძემ ამ საქმესთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ მოისურვა და მხოლოდ ის გვითხრა, რომ ბედუკაძე-ჭელიძისთვის უკეთესია, ბლადაძესთან გაარკვიონ ურთიერთობა, მას კი თავი დაანებონ. არ არის გამორიცხული, ბედუკაძის საქმეზე, რომელსაც ახლა პროკურატურა იძიებს, არაერთი სკანდალური და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გახმაურდეს.

ეკა ასათიანი
გაზეთი „კვირის პალიტრა"

P. S.

მედია-კავშირ ''ობიექტივის" ხელმძღვანელ ირმა ინაშვილის განცხადებით, პატიმართა წამების ფაქტების გამოსაძიებლად ჩატარებულ ჟურნალისტურ გამოძიებაში ვლადიმერ ბედუკაძე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თუმცა მისივე განცხადებით, ის მთელი ამ საქმის ერთ ფრაგმენტს შეადგენდა.

ირმა ინაშვილი ირწმუნება, რომ კადრების არსებობის შესახებ საიდუმლოდ შენახვა გამოწვეული იყო იმით, რომ პატიმართა წამების ამსახველი ფირი ევროპას ენახა.

„ჩვენი მთავარი მიზანი იყო, მაქსიმალურად დაგვეცვა საიდუმლოება, სანამ ეს არ მიაღწევდა ევროსტრუქტურებს. წარმოიდგინეთ ეს კადრები, რომლებიც მე ხელთ მქონდა, რომ მიმეტანა ყოველგვარი ექსპერტიზისა და საერთაშორისოსზოგადოების ჩარევის გარეშე, რომელიმე ტელევიზიაში, რა მოყვებოდა. მოყვებოდა ის, რომ ვერავინ ვერასდროს გაიგებდავინ და რატომ მომკლა. მე ან სხვა ადამიანები, რომლებთან ერთადაც ამ კადრების გადასაღებად, მოსაპოვებლად დაგამოძიებისთვის ვიბრძოდი. მომნათლავდნენ შანტაჟისტად, პროვოკატორად და სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი არსებობას, ადამიანთა წამებას კიდევ დიდხანს გააგრძელებდა", - განაცხადა ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა

ჟურნალისტები ბედუკაძის მიერ სკანდალური განცხადებების შეფასებითაც დაინტერესდნენ, რომლის კომენტირებისას ინაშვილმა აღნიშნა, რომ ინტერპოლის მიერ ძებნილი ბედუკაძე „დღეს სააკაშვილთან და მერაბიშვილთან დაკავშირებული, საეჭვო ადამიანების გარემოცვაშია, რომლებიც მასზე ზემოქმედების მოხდენას ცდილობენ".

„ჩვენ მას დამსახურებას არ ვუკარგავთ, თუმცა ჩვენ მასალები მის გარდა კიდევ ორი წყაროსგან მივიღეთ. დღეს ბედუკაძის, ჭელიძის და სილაგაძის განცხადებები ტყუილებით გვავსებენ. ეს ყველაფერი მხოლოდ იმას ისახავს მიზნად, რომ მოხდეს ბელგიის სასამართლოდან უმნიშვნელოვანესი სარჩელის გამოტანა და საქმიდან ჩახსნილი იქნეს ბედუკაძე, როგორც მოწმე",-განაცხადა ირმა ინაშვილმა.

პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა ''წინააღმდეგობის მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ლომიაკ. მისი თქმით, გამოძიების დამგეგმავი „წინააღმდეგობის მოძრაობის" თავმჯდომარე დავით თარხან- მოურავი იყო.

„ე.წ. „კარანტინის დაშლის" კადრები, რომელმაც გაანადგურა ეს ხელისუფლება, ბორის ფარულავას გადაეცა. მის გარეშე ვერ მოვახერხებდით ამ კადრების მოპოვებას. ბორის ფარულავა გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებისკარანტინში მუშაობდა, თუმცა, როდესაც კარანტინის დაშლის გადაღება დაიგეგმა, ის ადმინისტრაციაში გადაიყვანეს. მასვთხოვე, ჩემთვის გაეცნო ორი ადამიანი, რომლებიც იქ მუშაობდნენ და რომელთათვისაც მიუღებელი იყო ის, რაც ციხეებშიხდებოდა. მან შემახვედრა ორ პიროვნებას. ფარულავას მეორე შეხვედრაზე უკვე ვუთხარი, რომ ერთ-ერთ მათგანი, დავით აკობია მათი თანამოაზრე იყო. ბორის ფარულავას გადავეცი კამერა, რომელიც მან აკობიას მიაწოდა.

კარანტინის დაშლის დღეს აკობია აღმოჩნდა კარანტინში და მან შეძლო ამ კადრების გადაღება, სადაც ჩანან მაღალჩინოსნები: გაგა მკურნალიძე და დავით ხუჭუა. კარანტინის კადრები 24 აგვისტოს მოვიპოვეთ.

ვთხოვ ყველას, არ დავივიწყოთ ფარულავა, რადგან მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ კადრების გავრცელება", - განაცხადა გიორგი ლომიამ.

ხსოვნა

მიშიკო ხარაშვილი

მეოთხედ მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე 25 - ოქტომბერი. 25 წლისა შესრულდებოდი შვილო და შვილიშვილო, მაგრამ არ დაგცალდა. გილოცავთ ამ საიუბილეო დღეს. ეს დღე ყოველთვის სევდისა და ცრემლის მომტანი იქნება ჩვენთვის. რაც დრო გადის, ტკივილი უფრო მატულობს. ძალიან გვენატრები, გვიჭირს უშენობა. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი, ალალი და ლამაზი სული. ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

შენი ბებო – თამარა,
პაპა მიხეილ გოგოჭურები.

მონატრება

ზურაბ ნატროშვილი

ჩვენო საყვარელო შვილო, ზურა, დადგა ჩვენთვის და შენთვის შავად გათენებული 26 ოქტომბერი. 7 წელი შესრულდა იმ ავადსახსენებელი დღიდან. ექვსჯერ მოვიდა უშენოდ 16 ოქტომბერი - შენი დაბადების დღე. მთელი დღე შენს საფლავზე გავატარე და ვილოცე შენი სულისათვის.

წახვედი და დატოვე შენი ოჯახი, დედა, მამა, შენი საყვარელი შვილი და შენი ძმა, რომელიც დღემდე მწარედ განიცდის უშენობას. ჩემო ზურა, შენთან შეხვედრას შენს გულში სამუდამოდ ჩახუტების მოლოდინით ვცხოვრობ, რასაც შვილმკვდარი მშობლები განვიცდით. ძალიან მიჭირს, შვილო, უშენოდ ცხოვრება. სიცოცხლემისჯილ დედაშენს მეტი ძალა აღარ შემწევს, ამქვეყნიური ცხოვრება არაფრად მიღირს. მიყვარხარ და მენატრები უსასრულოდ. ეს მონატრება უნდა ვატარო, როგორც სასჯელი, სანამ დავტოვებ ამქვეყნიურ ცხოვრებას და შენთან მოვალ. ჩემო ზურა, შენს ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი გულმოკლული დედა
და მამა

ოზაანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მერი და ელიზა შიუკაშვილებს სიძის
შაქრო (ზაქრო)
ათანელიშვილის
გარდაცვალების გამო.

მშვიდობის კორპუსის პროგრამა „გოგონათა საერთაშორისო დღისთვის“

„მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენლობის ორგანიზებით ქალაქ თბილისში „გოგონათა საერთაშორისო დღე“ აღინიშნა და მენტორების პროგრამა განხორციელდა. მასში ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 7 გოგონა მონაწილეობდა, მათ შორის ორი დედოფლისწყაროდან იყო.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, პროგრამაში მონაწილეობა ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ნინო სეფიაშვილმა და ქეთი ჩაფიაშვილმა მიიღეს. მოზარდი გოგონები სპეციალური კონკურსის წესით შეირჩნენ.

მონაწილეებს „გოგონათა საერთაშორისო დღე“ მიულოცეს საქართველოში ამერიკის ელჩის მეუღლემ მერი ჰანტნეტმა და „მშვიდობის კორპუსის“ ხელმძღვანელმა რიკ რექორდმა.

„მშვიდობის კორპუსის ოფისში, თბილისში ვიყავით მიწვეულები. ეს პროექტი ემსახურებოდა მომავალ პროფესიებთან გაცნობას... მე სოციოლოგთან ვიყავი მიმაგრებული და იმასთან ერთად გავატარე მთელი სამუშაო დღე. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის სტრუქტურას დეტალურად გავეცანი. ჩემი მეგობარი ქეთი ფსიქოლოგთან იყო. ლექციას დაესწრო და გამოფენაზე იმყოფებოდა. მონაწილეებს სხვადასხვა მენტორები გვყავდა... მთელი დღის განმავლობაში მათ სამსახურში ვიყავით და გავეცანით თითეული მათგანის პროფესიებს და მათ თავისებურებებს. გულწრფელად გითხრათ, ძალიან საინტერესო იყო. როგორც ვიცი, დედოფლისწყაროდან მონაწილის კითხვარი ორზე მეტმა მსურველმა შეავსო, თუმცა, საბოლოო ჯამში მხოლოდ ორი მათგანი შეგვარჩიეს. იყვნენ ლაგოდეხიდან და თბილისიდანაც.

მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო ჩვენთვის და მოხარულები ვიქნებით, თუ მსგავსი პროგრამები ხშირად განხორციელდება,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ნინო სეფიაშვილმა.

„გოგონათა საერთაშორისო დღე“ 11 ოქტომბერს აღინიშნა. მონაწილეთა ანკეტების შევსება და პროგრამა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა.

ილია მარტყოფლიშვილი

იცით, თუ არა რომ...

- ენოტი საკვებს რეცხავს და ისე მიირთმევს. მას ურჩევნია შიმშილით მოკვდეს, ვიდრე მანამ შეჭამოს რამე, ვიდრე მას წყალში არ გაავლებს და კარგად არ გაასუფთავებს.
- ცხოველთა შორის ყველაზე მძინარა, კოალაა. მას დღე ღამეში 22 საათი ძინავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კოალას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 15 წელია, გამოდის, რომ სიცოცხლეში დაახლოებით 13 წელს ძილში ატარებს.
- სპილო დღეში დაახლოებით 225 კილოგრამ საკვებს მიითმევს. ერთ ჯერზე კი 135 ლიტრი წყლის დალევა შეუძლია.
- სამეფო არწივი, მთელი ცხოვრებას ერთ პარტნიორთან ატარებს და არც ბუდეს იცვლის.
- ჟირაფის კისერი დაახლოებით 2,5 მეტრი და 11 კილოგრამია.
- 1 გრამი თაფლის დამზადებისთვის, ფუტკარი 7 500 ყვავილისგან იღებს ნექტარს.
- თეთრ დათვს ძალიან კარგი ყნოსვა აქვს. მას შეუძლია 30 კილომეტრზე იგრძნოს ზვიგენის გვამის სუნი. 1 მეტრიანი ყინულის ქვეშ მყოფ სელაპსაც სუნით გრძნობს.
- დედალი ტერმიტი 30 000 კვერცხს დებს დღეში.
- დელფინი 200 მეტრის სიღრმეზე ჩადის და 15 წუთი შეუძლია გაძლოს ზედაპირზე ამოსვლისა და ჩასუნთქვია გარეშე.
- სირაქლემას კვერცხი 1,5 კილოგრამია. ეს კი 24 ცალი ქათმის კვერცხის ტოლფასია.
- კოლიბრი იმდენად პატარა ჩიტია, რომ ხშირად ობობას ქსელში ეხვევა და თავს ვეღას აღწევს.
- ზვიგენი იძულებულია სულ იმოძრაოს. მინიმუმ 3 კმ/საათში მაინც. სხვანაირად მის ორგანიზმს საჭირო ჯანგბადი არ მიეწოდება.
- ნიანგის სქესი დამოკიდებულია ინკუბაციის პერიოდში ტემპერატურაზე. თუ კვერცხი 30°C- ზე ნაკლებ ტემპერატურაზე იჩეკება, ნიანგი დედალია, ხოლო 30°C გრადუსზე მეტ ტემპერატურაზე, მამალი ნიანგები იჩეკებიან. კვერცხის ტემპერატურას განსაზღვრავს დედა. ზოგიერთ კვერცხს უფრო ღრმად მარხავს, ზოგიერთს კი უფრო ზედაპირულად.

ულოცავენ!

სვეტლანა შალვაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში. ადამიანის ცხოვრებაში სკოლა უზარმაზარ როლს თამაშობს და სწორედ თქვენნაირი პედაგოგის თავდაუზოგავი შრომაა იმის საფუძველი, რომ ჯანსაღი თაობა აღიზარდოს. მეც მშობელი ვარ და ისევე, როგორც დედა, კარგად ვაცნობერებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი ბავშვის პიროვნებად ჩამოალიბებაში.

უღრმესი მადლობა, რომ წლების განმავლობაში ასე უერთგულეთ სკოლასა და ბავშვებს. კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო თქვენდამი დიდი პატივისცემა, მადლიერება და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ.

პატივისცემით,
ხატია დეკანოიძე

* * *

ჟანა ბაბაიან-გავალოვს!

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის 2007 წლის კურსდამთავრებულები გილოცავთ მთავრობის ჯილდოს-ღირსების ორდენს. თქვენ ნამდვილად დაიმსახურეთ ეს ჯილდო, რადგან კარგი ადამიანი და პედაგოგი ხართ. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მრავალი ბავშვის აღზრდას. ძალიან გვიყვარხართ და მუდამ გვახსოვხართ!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით,
თქვენი ყოფილი მოსწავლეები

* * *

ნელი ზოშიაშვილ-ყოჩიაშვილს!

ძვირფასო კოლეგა! გილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს - „ღირსების ორდენს“, რომელიც შენ დაიმსახურე შენი პროფესიონალიზმით, შრომისმოყვარეობით და ადამიანური თვისებებით. კვლავაც მრავალ წარმატებას გისურვებთ. იყავი მხნე, ჯანმრთელი და ბედნიერი შენს დიდსა და საყვარელ ოჯახთან ერთად.

სიყვარულით, უახლოესი მეგობრები:
მზია ხატიაშვილი, ოლიკო კიკილაშვილი
და ლალი აბაშიძე

სპორტი

კალათბურთი

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში საჯარო სკოლების მოსწავლე ვაჟებს შორის.

მუნიციპალიტეტის პირველობა მოიგო ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის გუნდმა. აი, გამარჯვებული სპორტსმენებიც:

გიორგი ფიროსმანაშვილი, გიორგი ბენაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, დავით ბეჟაშვილი, ნიკა ბოსტაშვილი, სოსო ჩუთლაშვილი, ლევან ჩუთლაშვილი, ბესიკ ბერიკელაშვილი, სანდრო ბეგიაშვილი, აკაკი გონაშვილი.(სკოლის დირექტორი მაია ლაპიაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი დალი ბენაშვილი).

მეორე ადგილზე გავიდა სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა,მესამე ადგილი კი დაიკავა სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლამ.

პირველ ადგილზე გასული გუნდი დასაჩუქრდა ფასიანი პრიზებით და სიგელით.

მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სიგელები.

ძვირფასო გადამხდელებო!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე შეგახსენებთ, რომ საგადასახადო კოდექსის 205 - ე მუხლის თანახმად, თუ ფიზიკური პირის ოჯახის წევრთა საერთო წლიურმა შემოსავალმა გადააჭარბა 40 000 ლარს, სავალდებულოა ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენა ელექტრონულივერსიით.

ფიზიკური პირის ქონების დეკლარაციის შევსება ასევე სავალდებულოა , თუ 2011 წელს თქვენმა შემოსავალმა არ გადააჭარბა 40000 ლარს, მაგრამ 2012 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საკუთრებაში ან მფლობელობაში გაგაჩნიათ მიწის ნაკვეთი, ასევე, ქირით, იჯარით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი ფორმის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული გაქვთ მიწის ნაკვეთი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საგადასახადო კოდექსის 274 - ე მუხლის თანახმად დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენა იწვევს პირის დაჯარიმებას.

დეკლარაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 1 ნოემბერი.

დამატებითი კითხვებისათვის დაგვიკავშირდით:
591 22 44 95 (გენადი), 593 28 11 46 (ნინო), 599 16 57 40 (ელენე).
სამუშაო საათები: 10.00 დან18. 00 მდე.
შ.პ.ს. „ლაშარი+“ გისურვებთ წარმატებებს.

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 20. 09	კვირა 21. 09	ორშაბათი 22. 10	სამშაბათი 23. 10	ოთხშაბათი 24. 10	ხუთშაბათი 25. 10	პარასკევი 26. 10
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
14 ° 10 °	15 ° 9 °	13 ° 11 °	14 ° 12 °	15 ° 13 °	15 ° 14 °	14 ° 12 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K